

განმარტებითი შენიშვნები

შპს „კანდიდი საშუალო სკოლის“ 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „კანდიდი საშუალო სკოლა“ (შემდგომში „სკოლა“) წარმოადგენს ერთი პირის საწარმოს, რომელიც დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 1999 წლის 28 ივლისს, რეგისტრაციის №1/4-938

1.2. შპს „კანდიდი საშუალო სკოლა“ წარმოადგენს კერძო სკოლას და ფუნქციონირებს „ზოგადი განათლების შესახებ“ №1330-11 საქართველოს კანონის შესაბამისად;

1.3. სკოლას დადგენილი წესით გავლილი აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ავტორიზაცია და აკრედიტაცია;

1.4. სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების სამივე საფეხურით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო საქმიანობას.

1.5. სკოლა ძირითად საქმიანობას ახორციელებს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად. ზოგადი განათლების მიღების მიზნით, მოსწავლესა და მის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც ასევე ითვალისწინებს შემდეგ დამატებით პირობებსა და კომპონენტებს:

- სწავლისათვის ადეკვატური გარემოს შექმნას;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურტექნიკური ბაზით უზრუნველყოფას;
- სკოლაში კეთილმოწყობილი და სანიტარული ნორმების შესაბამისი კვების ობიექტი არსებობას;
- მოსწავლეთათვის პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევას;

1.6. 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად იმ ფორმითა და მოცულობით რაც გათვალისწინებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. მნიშვნელოვანი მოვლენები:

2.1. 2018 წელს შემუშავდა სკოლის სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელშიც გათვალისწინებული იქნა სკოლის საქმიანობის სპეციფიკა. დაიხვეწა ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგია.

2.2. სკოლა წარმოადგენს განვითარებად და ფუნქციონირებად საწარმოს, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

თანხა ლარში

მაჩვენებლების დასახელება	2018 წ	2019 წ
გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში	345954	517707
გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის ბოლოს	517707	746493
გაცემული დივიდენდები	68000	77289
საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს	879747	1458762



2.2. საგადასახადო ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ფინანსური ინფორმაციის ურთიერთშესაბამისობის კონტროლის გააღვივების მიზნით ბუღალტრული აღრიცხვაში საგადასახადო ვალდებულებების სუბანგარიშების სააღრიცხვო ბარათების პარალელურად გაიხსნა ნაერთი საგადასახადო-სააღრიცხვო ბარათი.

2.4. საგადასახადო ვალდებულებისა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების ურთიერთშედარებისას გამოყენებული იქნა შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული გადასახადის გადამხდელის პირადი სააღრიცხვო ბარათი.

ანალიზით დადგინდა, რომ ბუღალტრული მონაცემები არ ემთხვეოდა პირადი ბარათის მონაცემებს, რაც მომდინარეობდა წინა წლებიდან და გამოწვეული იყო:

- საწარმოს ყოველთვის ჰქონდა ზედმეტად გადარიცხული თანხების ნაშთი და შესაბამისად საგადასახადო შემოსუბებისას სხვაობის ანალიზი არ გაკეთებულა;

- გადასახადის გადამხდელის ბარათზე ავტომატურად დარიცხული საურავები ბუღალტრულ აღრიცხვაში სრულად არ აისახებოდა;

- 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების ბარათების გაერთიანებისა და ერთიანი სახაზინო კოდით ანგარიშსწორების გამო გაძნელებული იყო საგადასახადო ბარათებისა და საბუღალტრო აღრიცხვის ბარათების შედარება;

- 2018 წლიდან საწარმომ დანერგა საგადასახადო ვალდებულებების ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის სისტემა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მსს-ის ფასს სტანდარტებს, ამასთან შესაძლებლობას იძლევა სისტემატურად განხორციელდეს გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათისა და გადასახადების სახეობების მიხედვით ანალიზური აღრიცხვის ბარათებზე ასახული ინფორმაციის ურთიერთ შესაბამისობა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

3.1. 2019 წლამდე პერიოდების ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი, რადგანაც სკოლა „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონით დადგენილი კრიტერიუმებით აკმაყოფილებდა მხოლოდ მე-4 კატეგორიის საწარმოს კრიტერიუმებს;

3.2. სკოლა წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლიდან;

3.3. სკოლის საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

3.4. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძრისობის პრინციპიდან გამომდინარე მსს ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის – 2018 წლის ფინანსური ინფორმაცია.

3.5. კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

3.6. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ანგარიშგებას ფინანსური საქმიანობის შესახებ (ფორმა №1);
- ანგარიშგებას საქმიანობის შედეგების შესახებ (ფორმა №2);



– ანგარიშგებას ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ (ფორმა №3), რომელიც მე-3 კატეგორიისათვის არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო კომპონენტს;

– წინამდებარე განმარტებით შენიშვნებს;

3.7. წარმოდგენილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით;

3.8. 2016 და 2018 წელს შესყიდული ორი მიწის ნაკვეთი, რომლებიც მიმდინარე პერიოდისათვის გამოყენებული არ არის სკოლის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებით, მსს ფასს-ის მე-16 განყოფილების შესაბამისად აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების კრიტერიუმებს და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა ძირითადი საშუალებებიდან გამიჯნულად, რეალური ღირებულებით.

3.9. სკოლა თავისი საადრიცხვო პოლიტიკით იყენებს ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარების თვითღირებულების მოდელს. ბარტერიტა და უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით;

3.10. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებები, გარდა შენობა-ნაგებობებისა აღირიცხება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, ხოლო შენობა-ნაგებობები გადაფასების მოდელით;

3.11. სკოლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა არსებითი ნაშთები არ გაანჩნია;

3.12. საინვესტიციო ქონებისა და ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა;

3.13. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი 70 ლარამდე ღირებულების ინსტრუმენტები და სხვადასხვა დანიშნულების ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

3.14. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

3.15. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

3.16. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სკოლა მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს;

3.17. კაპიტალში პარტნიორის შენატანის მოცულობა 362040 ლარს შეადგენს, რაც საანგარიშგებო პერიოდში არ შეცვლილა.

3.18. წმინდა მოგება ძირითადად ხმარდება სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარებას და დივიდენდის სახით გაცემულია გასანაწილებელი მოგების მხოლოდ 10 % მდე ოდენობით;

3.19. პარტნიორის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2020 წლის 25 აპრილს;



4. განმარტებითი შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

- 4.1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბუღალტრული ბალანსი) წარმოდგენილია დადგენილი ფორმით;
- 4.2. შესადრისობის პრინციპიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში გამჟღავნებულია 2018 და 2019 წლების ინფორმაცია;
- 4.3. მოთხოვნები საგანმათლებლო მომსახურებიდან მოსწავლეთა მიმართ იფარება უნაღდო ანგარიშსწორებით, ვაუჩერებითა და ფულის ჩარიცხვის გზით. მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება ხორციელდება ბიუჯეტიდან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მეშვეობით. წლის ბოლოსათვის ვაუჩერების ღირებულება მთლიანად განაღდებული იყო და მოთხოვნის ნაშთი არ ირიცხებოდა;
- 4.4. ხელშეკრულების შესაბამისად სწავლის საფასურის გადახდა წარმოებს სასწავლო წლის განმავლობაში, რაც რიგ შემთხვევებში ირღვევა, რაც ჩანს ქვემოთ მოცემული ინფორმაციიდან:

თანხა ლარში

	2018 წ.	2019 წ.
მოთხოვნების ნაშთი წლის დასაწყისში, მათ შორის:	95499	130594
– სკოლადამთავრებულთა დავალიანება	–	–
დარიცხულია საანგარიშგებო წლის განმავლობაში	930480	1068470
ანაზღაურებულია	895385	1056183
მოთხოვნების ნაშთი წლის ბოლოს, მათ შორის:	130594	142881
– სკოლადამთავრებულთა დავალიანება	–	6300

სკოლადამთავრებულთა დავალიანებების ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის და უიმედო დებიტორული დავალიანება 2019 წლის ბოლოსათვის სკოლას არ ერიცხება, თუმცა არსებულ სოციალურ ფონზე 6300 ლარის დავალიანების ამოღება სათუა. ამიტომ მსს ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად მოთხოვნების კორექტირება არ მომხდარა და ბალანსში აისახა მოთხოვნის კორექტირების ანგარიშზე ანარიცხის სახით;

4.5. სკოლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მარაგებში ძირითადად ირიცხება ისეთი მასალები და მაკომპლექტებელი ნაკეთობანი, რომლებიც კაპიტალიზდება, გამოიყენება ძირითადი საშუალებების რემონტისა და ექსპლუატაციის დანიშნულებით ან ხარჯის შესაბამისად ჩამოიწერება ადმინისტრაციულ და საერთო ხარჯებში. აქედან გამომდინარე, ხარჯების გაორების თავიდან აცილების მიზნით მათი ხარჯვა ასახულია შესაბამისი დანიშნულებით ხარჯების მუხლში და შეტანილი არ არის მარაგების ხარჯის მუხლში;

4.6. საინვესტიციო ქონების შემადგენლობაში შეტანილა ორი მიწის ნაკვეთი, რომლებიც შესყიდულია აუქციონის გზით და მათი შესყიდვის ღირებულება მიჩნეულ იქნა საბაზრო ღირებულებად;

4.7. 2019 საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის ძირითადი საშუალებების (გარდა შენობებისა), გაუფასურების ნიშნები არ შეინიშნებოდა და ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეტანილია ცვეთის გამოკლებით;



დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	01.01.2019 წ მდგომარ.
მიწა სას-სამეურნეო (მიწის ნაკვეთი-1)	63080,00	63080,00
მიწა არასას-სამეურნეო (მიწის ნაკვეთი-2)	248000,00	248000,00
სკოლის შენობა	356604,00	296960,00
სკოლის შენობის ცვეთა	-5943,40	-76305,71
შენობა -2	344595,00	174126,81
შენობა -2-ის ცვეთა	-5743,25	-34060,98
დაუმთავრ მშენებლობა	0,00	300,00
ნაგებობები	35538,16	22889,95
ნაგებობების ცვეთა	-4885,97	-6222,73
ქსელები და სისტემები	12545,80	12545,80
ქსელებისა და სისტემების ცვეთა	-5864,41	-5130,60
სარეკლამო შუქფირნიშები	1915,00	1915,00
სარეკლამო შუქფირნიშების ცვეთა	-468,40	-106,75
მანქანა-მოწყობილობები	5577,19	5667,19
მანქანა-მოწყობილობების ცვეთა	-3454,11	-2954,55
ძაღოვანი მოწყ. და გენერატორი	820,00	820,00
ძაღოვანი მოწყ. და გენერატორის ცვეთა	-304,63	-258,73
ოფისის აღჭურვილობა	37654,19	37292,29
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	-22083,28	-23074,11
ვიდეო სისტემები	10584,30	10284,30
ვიდეო სისტემების ცვეთა	-6874,00	-6021,42
ლაბორატორიული მოწყობილობები	8048,00	8048,00
ლაბორატორიული მოწყობილ. ცვეთა	-6655,66	-6307,57
ავტო	19223,60	17198,60
ავტოს ცვეთა	-11225,74	-9713,21
სხვა ინვენტარი	7466,97	6972,97
სხვა ინვენტარის ცვეთა	-3452,02	-2835,58
სასკოლო ინვენტარი	20469,22	19789,22
სასკოლო ინვენტარის ცვეთა	-13228,68	-11668,44
ჯამი	1081937,88	741229,75

4.8. სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, პირვანდელი აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მოდელით.

მსს ფასს-ს 35-ე შესაბამისად სკოლამ ისარგებლა დაშვებული შეღავათით: „რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება. საწარმოს, რომელიც პირველად იყენებს მსს ფასს-ს, უფლება აქვს, ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება ან არამატერიალური აქტივები შეაფასოს ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით და ეს რეალური ღირებულება მიიჩნიოს მის დასაშვებ საწყის ღირებულებად ამ თარიღისთვის.“

მსს ფასს-ის 35.10 „გ“ პუნქტის საფუძველზე შენობებისა და სპორტული მოედნების რეალური ღირებულება აფასდა რეალურ ღირებულებამდე და მიჩნეული იქნა პირვანდელ ღირებულებად. ქონება 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შეფასდა შპს „ექსპერტის“ მიერ.



ბუღალტრულ აღრიცხვაში შენობა-ნაგებობების ღირებულების აფასება აისახა ცვეთის ელემინირების გზით, ხოლო აფასების თანხა აისახა საკუთარ კაპიტალში, ძირითადი საშუალებების ნამეტის სახით. გადაფასების შედეგები მოცემულია ცხრილში:

ძ.საშუალებ. დასახელება	ღ-ბა აფასებამდე		ღ-ბა აფასების შედეგ		ნამეტი თანხა
	პირვანდელი	დაგროვილი ცვეთა	პირვანდელი	ცვეთა შემდგომი	
სკოლის შენობა 1	296960,00	76305,71	356604,00	5943,40	135949,71
სკოლის შენობა 2	174126,81	34060,98	344595,00	5743,25	204529,00
სპორტ. მოედანი 1	9351,79	2818,39	12000,00	400,00	5466,60
სპორტ. მოედანი 2	5716,50	0	10000,00	333,33	4283,50

4.9. სკოლის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად მრავალჯერადი გამოყენების საგნები, რომელთა ღირებულება 70 ლარზე ნაკლებია ან რომელთა ეკონომიკური სარგებლობის ვადის საიმედოს განსაზღვრა შეუძლებელია, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე აქტივების სახით, ცვეთის გარეშე;

4.10. სკოლის ბალანსზეა ორი სახის არამატერიალურ აქტივი:

- საბუღალტრო კომპიუტერულ პროგრამა „ორის-ბუღალტერია“;
- „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით დადგენილ ავტორიზაცია-აკრედიტაციის ნებართვა, 6 წლის ვადით. აღნიშნულ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით – 16,7 % -ის ოდენობით;

4.11. სკოლას შეკავშირე ან შევილობილი საწარმოები არ გააჩნია. იგი არ ფლობს წილობრივ ინსტრუმენტს;

4.12. სკოლას ბიოლოგიური აქტივები არ გააჩნია.

4.13. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს ოპერაციის განხორციელებისთანავე და ვალდებულებად აღიარდება ერთიან საგადასახდო ანგარიშზე, საგადასახდო კოდექსით დადგენილი ანგარიშგების სავადო თარიღით (დეკლარაციის წარდგენისთანავე);

4.14. საანგარიშგებო პერიოდში სკოლას გააჩნდა თი ბი სი ბანკის გრძელვადიანი კრედიტი, რომელიც აღებული იყო სკოლის შენობების რეკონსტრუქციის დანიშნულებით და სრულად დაიფარა 2019 წელს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სკოლას სასესხო ვალდებულებები არ გააჩნია;

4.15. სკოლას სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არ ერიცხება;


4.16. საანგარიშგებო პერიოდში და საანგარიშგებოს წინა პერიოდში სკოლას სახელმწიფო გრანტი არ მიუღია;

5. განმარტებითი შენიშვნები საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაზე;

5.1. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება შედგენილია მე-3 კატეგორიის საწარმოებისათვის დადგენილი გამარტივებული ფორმა №2-ის სახით. შესადრისობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ფორმა №2 შეიცავს ინფორმაციას საანგარიშგებოს წინა წლის –2018 წლის საქმიანობის შედეგების მონაცემებს;

5.2. ამონაგები მოიცავს:

- ამონაგებს საგანმანათლებლო საქმიანობიდან;
- ამონაგებს საოპერაციო იჯარიდან.



ანგარიშგების სხვა მუხლებით გათვალისწინებული შემოსავლები, თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლას არ გააჩნია.

5.3. სხვა შემოსავლები, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლით, საანგარიშგებო პერიოდში სკოლას არ გააჩნდა.

ვინაიდან მსს ფასს დაინერგა პირველად და წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გადაფასების მოდელი არ გამოიყენებოდა, შენობა-ნაგებობების ღირებულების ზრდის თანხა (აღრე შემცირებული ღირებულების ოდენობით) სხვა შემოსავლის სახით საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში არ აისახა და აფასების ნამეტი თანხა მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად მთლიანად შეტანილია საკუთარი კაპიტალის შესაბამის მუხლში – „ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი.“

5.4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები, რომლებიც ასახული არ არის სხვა მუხლებში, მოიცავს ცხრილში მოცემულ დანახარჯებს:

თანხა ლარში

ხარჯების დასახელება	2019 წ	2018 წ
ფიზიკური პირებიდან მიღებული მომსახურება	0,00	527,50
მედიკამენტების ხარჯი	193,69	202,97
ანარიცხები დაგროვებითი საპენსიო ფონდში	5070,85	0,00
ოფისის ხარჯები	1934,40	650,40
კომუნიკაციის ხარჯები	4898,57	4292,97
ლაბორატორიული რეაქტივები	15,62	14,59
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაცია და რემ.	5503,45	11092,36
სამეურნეო მცირეფასიანი აქტივების მოხმარება	1314,95	671,69
კომპიუტერის ხარჯები	1963,83	296,00
აუდიტის და ტრენინგის მომსახურება	605,10	634,13
საექვო მოთხოვნების ხარჯი	6300,00	0,00
საგადასახადო ხარჯები	5288,60	5715,47
კომუნალური ხარჯები	21422,64	21661,43
დასუფთავება და ჰიგიენის ხარჯები	5303,29	5286,81
კვების მომსახურება	73485,00	70575,00
დაცვის და სხვა მომსახურება	480,00	546,69
ბანკის მომსახურება	4567,74	728,37
სხვა საერთო ხარჯები	901,00	546,00
კულტ-მასობრივი ღონისძიებები	1460,00	2140,00
სასკოლო ღონისძიებები	1022,00	146,44
ჯამი	142116,89	125728,82

5.5. მსს ფასს-ის მოთხოვნათა შესაბამისად არასაოპერაციო მუხლები ანგარიშგებაში მოცემულია ცალკე;

5.6. მოგება-ზარალი ფინანსური აქტივებისა და არაფინანსური აქტივების გაუფასურებიდან საანგარიშგებო პერიოდში არ დაფიქსირებულა;

5.7. სკოლას საანგარიშგებო პერიოდში სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია;

5.8. სკოლა მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ექსტრენური მოდელის“ შესაბამისად. ანუ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ განისაზღვრება მიღებული მოგებიდან. აქედან გამომდინარე, მსს ფასს-ის 29.2 პუნქტისაგან განსხვავებით, არ



წარმოიშობა არც გადავადებული საგადასახადო აქტივი და არც გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება. ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადის ხარჯად აღიარებულია საანგარიშგებო წელს დარიცხული მოგების გადასახადი.

5.9. საქმიანობის შედეგების ანგარიშგების ფორმა ასევე ითვალისწინებს ცვლილებებს საწარმოს კაპიტალში. სკოლის საკუთარ კაპიტალში ცვლილებები მოცემულია ცხრილში:

თანხა ლარში

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანალიზი	2019 წ	2018 წ
კაპიტალის საწყისი ნაშთი	879747	707995
შპს-ს კაპიტალში დამატებითი შენატანი	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მ.შ. დივიდენდის)	-77289	-68000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	306076	239752
კაპიტალში სხვა ცვლილებები	350229	0
კაპიტალის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1458762	879747

6. განმარტებითი შენიშვნები ფულადი სახსრების

მოძრაობის შესახებ:

6.1. ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება მე-3 კატეგორიის საწარმოსათვის სავალდებულო არ არის.

სკოლამ შესაძლებლად მიიჩნია წარედგინა ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ;

6.2. ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, რომელიც ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც ამონაგებისა და ხარჯების სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასაღებს:

- საოპერაციო საქმიანობიდან;
- საინვესტიციო საქმიანობიდან;
- საფინანსო საქმიანობიდან;

6.3. მის ფასს-ის შესაბამისად, ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია:

- მომსახურების გაწვიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის, გადახდილი ფულადი სახსრები;

- დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები;
- მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრები;

- საოპერაციო ხარჯების სახით სხვა გადახდები;

საანგარიშგებო წელს ფულადი ნაკადების მოძრაობის მონაცემები მოცემულია ცხრილში:

თანხა ლარში

დასახელება	2019 წ
ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან მ.შ.	1056621
- მოსწავლეთა შენატანი	912123
- ვაუჩერით	144498
ამონაგები საოპერაციო იჯარიდან	1750



გადახდილი თანხების დაბრუნება	15617
სულ ამონაგები საოპერაციო საქმ.	1073989
გადახდილია მომწოდებლებისათვის (გარდა კაპიტ.)	105442
გადახდილი შრომის ანაზღაურება	467819
დაგროვებით საპენსიო ფონდში გადახდები	13877
გადახდილია ავანსი მომწოდებლისათვის	0,00
წინასწარ ანაზღაურებულია მომსახურება	108,00
თანხის დაბრუნება	540,00
გამოტანილია საქვეანგარიშოდ	1175
გადახდილია ბიუჯეტში	133016
სულ გასავალი	-721977
შედეგი	352012

6.4. ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან შეტანილია: ძირითადი საშუალებების შესყიდვის, მშენებლობის (დამზადების), არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესყიდვის დანიშნულებით და სხვა კაპიტალიზებად ხარჯებისათვის გადახდილი თანხები.

ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან საანგარიშგებო პერიოდში სკოლას შემოსავალი არ მიუღია.

ინფორმაცია საინვესტიციო საქმიანობის ფარგლებში ფულადი ნაკადების შესახებ მოცემულია ცხრილში:

თანხა ლარში

დასახელება	2019 წ
ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	0
მიღებული დივიდენდი	0
შემოსულობა სხვა საინვესტიციო საქმიანობიდან	0
სულ შემოსულობა საინვესტიციო საქმიანობიდან	0
შესყიდულია ძირითადი საშუალებები	0
გაწეულია კაპიტალიზებად ხარჯები (მასალები, მანქანები, მომსახურება)	-31334
შესყიდულია არამატერიალური აქტივები	0
შესყიდულია წილობრივი ინსტრუმენტები	0
სხვა ინვესტიციები	0
სულ გასავალი საინვესტიციო დანიშნულებით	-31334
შედეგი	-31334

6.5. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსური საქმიანობის ფარგლებში სკოლას შემოსავალი არ მიუღია;

6.6. ფულად ნაკადებში საფინანსო საქმიანობიდან შეტანილია:

- გაცემული დივიდენდები;
- მიღებული სესხებისა და კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებული გასავალი;



– ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების ანაზღაურება– ბანკის საკომისიო;

– მოსწავლეებზე გაცემული სტიპენდია.

6.7. საანგარიშგებო პერიოდში სკოლას სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია, საბანკო ანგარიშზე სავალუტო ფულადი სახსრები არ ირიცხებოდა და შესაბამისად საკურსო სხვაობის შედეგი არ დამდგარა.



კომპანიის დირექტორი

ძმ. ზურაბი ბუღალტერი

მერი ქვრივიშვილი

ირმა გიორგაძე

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	1 071 070	933 180
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	1 068 470	930 480
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	2 600	2 700

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-	-
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	1 071 070	933 180


სხვა შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(576 171)	(502 479)
ცვეთა და ამორტიზაცია	(23 577)	(32 011)
საპროცენტო შემოსავალი:	-	-
საპროცენტო ხარჯი :	(15 645)	(31 594)
იჯარის ხარჯი	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(141 731)	(125 729)
სულ საოპერაციო ხარჯები	(757 123)	(691 812)

საოპერაციო მოგება	313 947	241 368
-------------------	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	-	-
მარაგები	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-	-

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	157	(1 584)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	314 104	239 784
მოგების გადასახადი	(8 028)	(32)
მოგება/(ზარალი)	306 076	239 752

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	-	-
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-



სხვა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	-

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	879 747	707 995
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(77 289)	(68 000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	306 076	239 752
კაპიტალის სხვა ცვლილებები	350 229	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 458 762	879 747



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	142 977	158 982
სავაჭრო მოთხოვნები	137 231	130 594
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	30 293	22 010
მარაგები	2 799	2 353
- მზა პროდუქცია	-	-
- სხვა	2 799	2 353
საინვესტიციო ქონება	63 860	63 860
სხვა მიმდინარე აქტივები	17 361	15 950
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-
გუდვილი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	2 665	3 623
ძირითადი საშუალებები	1 081 938	741 230
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	3 949	3 949
სულ აქტივები	1 483 071	1 142 550

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	-	-
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1	-
საგადასახადო ვალდებულებები	24 308	19 755
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	200
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	242 848
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	24 309	262 803

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',)	362 040	362 040
საემისიო შემოსავალი	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	746 493	517 707
გადაფასების რეზერვი	350 229	-
სხვა რეზერვები	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1 458 762	879 747





ფორმა N3 - ფულადი სახსრების
მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	352 012	265 147
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(31 334)	(40 937)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(336 683)	(159 139)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(16 005)	65 072
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	158 982	93 910
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	142 977	158 982

